ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა

სურათებიანი დამატება

დამატება № 20. ხუთშაბათი, 15 ივნისი, 1906 წ. გაზეთის № 58

სიმღერა მეომარისა

ნაადრევია... ნუ მიგლოვთ,
ჯერ კიდევ მიძგრეს გული მე
და სასიცოცხლოდ მიმიწევს
მრავალ ტანჯული სული მე.

—

ერთხელმაც იქმნება აღვსდგები,
მოვიკრებ სულის ძალასა
და საბრძოლველად გავიწვევ
დროებას გარდამავალსა.

—

ცეცხლს მოვუკიდებ, დავანთებ
კვლავ ჩამქრალს ქვეყნის კერასა
და მსხვერპლად შევეწირები
სამშობლოს ბედის წერასა.

—

ამაყ ორბის ფრთებს შევისხამ,
მზეს გამოვსტაცებ მზეობას,
და ასკეც გავიორკეცებ
სულის ძალსა და მხნეობას.

—

დავსჭყივლებ, მედგრად დავძახებ,
გულს გავუკეთებ გმირებსა,
ისევ ჩავითრევ ბრძოლაში
ლომ-კაცებს, გამოცდილებსა.

—

ყორნებს დავსტაცებ ამირანს,
აუწყვეტ რკინის პალოსა,
კვლავ განვუახლებ ბრძოლის ნიჭს,
მტერთათვის სავალალოსა.

—

მუნ გამოვიხმობ ქვესკნელით
დევთა რაზმს, ქაჯთა ძალებსა,
ამირანს მივცემ მათ სარდლად—
მტერს დავუყენებ თვალებსა...

—

და საბრძოლველად წავასხავ,
ბევრს ავუტირებ დედასა,
დღეს ქვეყნის ამწიოკებელთ
შევყრი ჭირსა და სნებასა.

—

კვლავ დავაყენებ ველ-მინდვრად
დაუშრეტს სისხლის ტბორებსა,
ყვავ-ყორანთ მივსცემ საწიწკნათ
მათს სამარცხვინო მძორებსა.

—

რა გავიმარჯვებ, ვიხარებ,
სიმთ ავუყენებ, წკრიალსა,
მოყვარეს ტკბილად მოვულხენ,
მტერს ლახვარს ვსტყორცნი ტიალსა.

—

გამარჯვებული მოვმართავ
ჩონგურს, ჩვეულებრ რიხითა
და მონებს თავს დავუმშვენებ
თავისუფლების ჯილითა...

—

ნაადრევია... ნუ მიგლოვთ,
ჯერ კიდევ მიძგერს გული მე
და საციცოცხლოდ მიმიწევს
მრავალ ტანჯული სული მე.

—

ერთხელმაც იქნება აღვსდგები,
მოვიკრებ სულის ძალასა
და საბრძოლველად გავიწვევ
დროებას გარდამავალსა.

ლადო ახოშაძე

---

* * *

ხელს ჩამოვკრავ, სამწუხაროდ
ავაჟღერებ ჩანგის სიმებს,
წყვდიად ღამეს თავს-ზარს დავცემ,
ავათრთოლებ მზისა სხივებს!..

—

ეჰ, თუ კვნესის ჩემი ჩანგი
ერთ-ფეროვნად, მგლოვიარედ,
სიტკბოსაც თუ შხამში ლესავს
და ყურს ხვდება უფრო მწარედ—

—

პირს მომდგარი როდი არის,
არც ოცნების ნაშობია:
ეს ცხოვრების მტკიცე კვალი
გულში ამონაწრთობია.

—

საზოგადო მოძახილი
გრძნობას თავის ელ-ფერს აძებს
და რა ვუყო, —ჩემს კილოში
ზედ-გავლენით ოხვრას ბადებს!..

—

ტკბილ ოცნების ცა-კიდურზედ
შავი ნისლი დანავარდობს;
რაღად გიკვირთ: ვარდის ბუჩქიც
დაჩრდილული თუ სტირს, დარდობს?!..

—

მხოლოდ, როცა თვით ცხოვრება
ქარ-ვარდნილი დამშვიდდება,
მაშინ... მაშინ ჩემი ჩანგიც
კილოს იცვლის, გატკბილდება.

—

მოწმენდილ ცას ხელს ჩავკიდებ,
ზედ ავაბამ მზისა სხივებს,
თითებს დავკრავ, მხიარულად
ავაჟღერებ დიად სიმებს!..

სოფ. გ—მე.

საფრანგეთის რევოლიუციაᲐ.—ბა ტილიის აღება, 1789 წლის 14 ივლისს

ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲔᲚᲘᲜᲘ.

(საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოთხრობა)

ფელიქს გრასი.

(ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ*)

რაც მეტი ხანი გადიოდა, მით უფრო მეტად დიდკუ-ლობდნენ არისტოკრატები და ანტიპატრიოტი ეკუნები, რომელთაც თავიანთ მაღაზიებსაც-კი დაეწერეს: „გაუმარჯოს მეფეს! გაუმარჯოს დედოფალს! ძირს ეროვნება!“ ისინი თავი-სუფლად შედიოდნენ და გამოდიოდნენ სასხლეში, თან შეჰქონ-დათ თოფები, დამბაჩები, თოფის წამალი და ტყვია.

ჩვენ კი გულხელდაკრეფილნი ველოდით და ველოდით. ბოლოს დიდი აუარ-ზაური ავტეხეთ და დავემ-ზქრეთ, რომ უიარ.ღოთ შევცივცივდებით სასახლეში. ბარ-ბარუმ და დანტონმა გადასწყვიტეს და ბრეტის ფედერალისტებთან რევოლუციონერებთანა და ეროვ-ნულ გვარდიელებთან გადაგვიყვა-ნეს ყაზარმაში, რომელიც სასახ-ლეს მახლობლად იყო.

ეს გადაწყვეტილება დანტონ-მა გამოგვიცხადა, დაგვირიგა ათ-ათი სასროლი და წაგვიყვანა ახალ ადგილას, თან ხმა-მაღლა იძახოდა:

— თავისუფლება, თანასწო-რობა, ძმობა, ან სიკვდილი!

კარდილიერის ყაზარმაში ბარ-ბარუ დაგვიხვედა.

— ხვალ, — გვითხრა ბარბა-რუმ,—მთელის პარიზის საეროვ-ნო საკრებულოს წინაღმდეგ და პეტერონისა, რომელიც შეჰპირდა თქვენს პარიზიდან განდევნას, თუ შვიდი ათასი ოქრო მისცეს, წი-ნაღმდეგ ყველისა და ყოველისფრისა

საფრანგეთის რევოლიუციაᲐ.—აჯანყებული ხალხი ატუსაღებს ბასტილიის უფროსს დე-ლონეს.

თვით ეშმაკისაც — და-ჭკრამს ბუკი და ჩვენ წავალთ სა-სახლეზე, რაც უნდა მოვველოდეს: გამარჯვება ანუ სიკვდილი!

ახლა კი მზადებას შეუდგნენ, ჩვენ ადრე წავედით პლანშოს სახ-ელოსნოდან, თოთხმეტივე გილი-ოტინა დამზადებული იყო.

ლაზულის და ადელინას ესმოდ-ათ, რომ განკითხვის დღე დადგა. დილადანვე ბუკის ხმა ისმოდა, კერკეტონი დადიოდა და ეანდარ-მები დაჰკენენდნენ ცხენებს. მე-ტად შფოდადნენ, რომ ჩვეულებ-რივზედ, ადრე შევდიოდით და ხმლებსაც ვლესავდით. გამომშვი-დობებისას ორივემ დაგვკოცნეს და ეტირეს.

— გაფრდხილდით,—გვითხრა ლაზულიმ,—წინ ნუ გამოიკიმებით და, ოდნავაც რომ გაგეკაწროთ რაღა, შინისკენ გამოიქეცით, ჰა, ერთმანეთს ყური უგდეთ და არ დაშორდეთ.

— თუ ან მამა ჩემი ნახო, ან ჩემი ძმა, ხელი არ ახლო!—მეხვე-წვპოდა ადელინა და მკოცნიდა ორივე ლოყაზედ.

— არა, ხელს არ ვახლებ, —ვუპასუხე მე, გადარეულმა იმის კოცნით

პლანშოც. პატარა ხანს უკან, გვარდიელის მუნდირში გამოწყობილი, გამოვიდა თან, ცოლი მოსდევდა და ტრიალ-ებდა.

— ნუ წახვალ, ნუ, უშენოდაც გაკეთდება საქმე, ცხენებ ქვეშ ჩავარდები, ახალგაზდებს მიანდე საქმე, ერთი უთხარით-მოგვმართა ჩვენ, რომ ამის საქმე არ არის თქვენში გარევა. ხმალი ამაზე გრძელია, ვერც კი მოახერხებს ქარაშიდან ამოღ-ებას, პლანშო გაგგონე. გაგგონე შენს ცოლს...

— რევოლუციაᲐ გვიწოდებს და მოვალე ვართ ან გავიმა-ჯვოთ, ან დავიხოცოთ, —უთხრა ეკლანშომ.

*) იხილე დამატება № 19.

საფრანგეთის რევოლიუცია.—თავისუფლების პირველი წუთები. ბასტილიიდან განთავისუფლებული შვიდი ტუსაღი.

— შენ რომ იქ ან ხელი მოგეჭრას, ან ფეხი, რაღა გიშველოთ?!—უთხრა ჟანტონმა მწარედ დაღონებულმა.

— თავისუფლება, ან სიკვდილი! მომეცით ცული, ხმალს ისა სჯობიან.

ჟანტონამ რომ ნახა, რომ ვერა გააწყო რა, ახლა სხვა საშუალებას მიმართა: უცბად გადავარდა ბურბუშელაზე გულსაკლავის კვნესით.

— ეს რა ამბავია? ჩემ ცოლს გული შეუწუხდა. ჩქარა წამალი.

მანამ ლაზული და ადელინა წამლისთვის ავიდნენ, მე და ვოკლერი ქუჩაში გამოვედით. ჭედვა იყო—ორ ნაბიჯს რომ წინა ვდგამდით, ერთს ნაბიჯს უკან. ხალხი საშინლად ღელავდა: ხან ჟანდარმს ვაძლევდით გზას, ხან არისტოკრატებს, რომელნიც დადიოდნენ და ღრიალებდნენ; „სიკვდილი ავაზაკებს!“ ხან პატრიოტები არღვევდნენ ჰაერს ძახილით; „გაუმარჯოს ეროვნებას“. ზოგს წითელი დროშები მოჰქონდა, ზოგს შავი, ერთს შუბლზე ჩამოეცო ხბოს გული, რომლიდანაც სისხლი სწვეთდა. ქალები თმა გაშლილები კარმანიოლას მღეროდენ. მეორე მხრიდან არისტოკრატები მობძანდებოდნენ გამოპრეწილები და თავიანთ სიმღერებს მღეროდნენ, სიმღერაში იაკობელებს ემუქროდენ სახრჩობელით, იმათ თეთრ დროშაზე წარწერილი იყო: „გაუმარჯოს ავსტრიელ პრუსიელ ლაშქარს, რომელიც გამარჯვებული შემოვა პარიზში.

მზე ჩადიოდა და მდ. სენა წითლად ლაპლაპებდა.

— ეს სისხლის ღვრის ნიშანია,—სთქვა ვოკლერმა და სენაზე მანიშნა.

კორდილიერის ყაზარმასთან რომ მივედით, დაღამდა. ჩვენი ბატალიონი მზად იყო. ბარბარუ, დანტონი და რებეკკი ზედი-ზედ სიტყვას ამბობდნენ.

— გიმეორებთ,—სთქვა ბარბარუმ და მიმართა ფედერალისტების ჯგუფს, რომელიც იჭვნეულობდა სანტერის შესახებ:—ის ახლავე მოვა. გახსოვდეთ, რომ ყოველთვის ორი დამბაჩა მქონდა, ახლა ერთიც არა მაქვს. ორივე საიმედო პატრიოტებს მივეცი. ერთს ვუთხარი: ხომ იცნობ ეროვნულ გვარდიის უფროსს, მანდატს, იმას მიჰყევი დღე და ღამ და თუ შეატყო, რომ თავისი ბატალიონები რევოლუციონერების წინააღმდეგ წაიყვანა, იქვე მოჰკალ, როგორც ძაღლი. ამითი დიდ სამსახურს გაუწევ სამშობლოს და თავისუფლებას. ამაზედ პატრიოტმა მიპასუხა: „ჩემს თავს ვფიცავ, შევასრულებ თქვენს ნათქვამს.“ მეორე პატრიოტს ვუთხარი; —„იცნობ შენ სანტერს? თვალი ადევნე დღე და ღამდა, თუ შენიშნო, რომ ბუკის ხმაზე თავისი ბატალიონი დანიშნულ ალაგს არ მიჰყავს, მოჰკალ როგორც ძაღლი! ამით დიდ სამსახურს გაუწევ სამშობლოს და თავისუფლებას“. მეორემაც მითხრა: „ვფიცავ ჩემს თავს, თქვენი ნათქვამი შევასრულო, ამ რიგად, მხოლოდ პეტიონს შეუძლიან შეგვიშალოს ხელი მაგრამ ორმოცდაათი რჩეული იაკობელი სასტიკად ადევნებს თვალს, სანამ სასახლეს არ ავიღებთ.

— რას დავდევ, პარიზელები ჩვენთან იქნებიან თუ არა,—სთქვა მორგანჰა და შეხტა მაგიდაზედ ბარბარუსთან:—პარიზელებს ჯერ არაფერი არა გაუკეთებიათ თავისუფლებისთვის. აი რვა დღეა აქა ვართ და სულ ველით, სანამ გადასწყვეტენ რასმე. სულ ნაცარ-ქექიები არიან. მოგვიწვიეს საშველად და ახლა კი ეშინიანთ ჩვენის შველისა. მართალნიც არიან, რომ ჩვენი ეშინიანთ, ჩვენ სამხრეთიდან მოვედით, რომ სამშობლო და რევოლუცია დავიხსნათ, ვერავინ შეგვაჩერებს, ან გავიმარჯვებთ ან დავიხოცებით!

— აი, კარგი სიტყვა!—სთქვა სამატმა და ისიც შეხტა მაგიდაზე და გაიქნია თავისი დროშა.

ყველამ ტაში დავუკარით და დავიძახეთ:

„გაუმარჯოს ეროვნებას!“

საეროვნო საკრებულოში სულ უსინიდისოები სხედან,—დაუმატა ერთმა მარსელელმა:—პეტიონი მოღალატეა! იმას უთქვამს, რომ შვიდი ათას ოქროთ გაგვაგდებს მარსელელებს პარიზიდან. აბა, მობრძანდეს თავისი ფულით! ჩვენ იმასთან ერთად ცხვარი არ გვიძოვებია, მაშასადამე, იმან რა იცის, სინიდისის გამყიდველები ვართ თუ არა?! ეს კი ვიცი, რომ, თუ ხვალ მარსელელი ბატალიონი არ წავიდა სასახლის ასაღებად, ტყვიას ვკრავ შუბლში, ამ სირცხვილს კი არ გადავიტან!..

— მართალია, მართალი!—სთქვა მეორე ფედერალისტმა, ან თავისუფლება ან სიკვდილი. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაჰბედავს სამხრეთისაკენ დაბრუნებას იმ დრომდე, სანამ მტარვალებს არ გავსწყვეტავთ. სამასხაროდ ხომ არ მოვედით აქ: ყველა შეიტყობს, რა გვინდა და ან რა შეგვიძლიან მოვიმოქმედოთ!..

ეს მკაცრი სიტყვები იმან გამოიწვია, რომ საეროვნო საკრებულოს, როგორც სჩანდა, მარსელელ ბატალიონის თავიდან მოშორება უნდოდა, ხმები დადიოდა ეროვნული გვარდია კი არ მოგვეხმარება, პირიქით ჩვენს წინააღმდეგ წავაო. ბოლოს დანტონმაც წარმოსთქვა სიტყვა. ოჰ, მეგობრებო, რა მშვენივრად ლაპარაკობდა! თუმცა ზოგი სიტყვა არც კი გვესმოდა, მაგრამ გულით ვგრძნობდით და ვატყობდით იმის აზრს. ეგ ტყუილია, ვითომ ყველა პარიზელი დამნაშავეა და თქვენი წინააღმდეგიო,—გვეუბნებოდა დანტონი. მან აგვიხსნა, ჯარი რა გზით უნდა წასულიყო. დიდების უბნის ბატალიონები უნდა გამოცხადდენ კარუსელის მოედანზედ, სენმარსის უბნის ბატალიონები ახალ ხიდიდან უნდა მოვიდნენ, ხოლო მარსელელები ბრეტელ ფედერალისტებთან და მოსწავლეებთან ერთად—წმ. მიხეილის ხიდიდან და ლუვრისგალერეიდან.

— ჩინებული დაწყობილებაა, დაუმატა დანტონმა, დამიჯერეთ, რომ ყველანი აასრულებენ თავიანთ მოვალეობას. წასვლის ნიშნად ზარბაზანს გაისვრიან ახალ ხიდზე, მერე ზარებს დარეკენ.

— ღმერთმა ჰქმნას თქვენი სიტყვა ასრულდეს!—დავიძახეთ ერთად, მივცვივდით თვალცრემლიანი და მუხლები დაუკოცნეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროს თოფი გაისროლეს. დაეყარეთ პური და ნიორი აეიღეთ თოფები და გაეარღვიეთ ქუჩაში თუმცა მაუსონი, ბარბარუ, რებეკკი და დანტონი გვარწუნებდნენ, რომ ეს ნიშანი არ არისო. ერთის წამის შემდეგ მწყობრად დავდექით კაზარმებთან ბუკის ხმაზე და საერთო ძახილით: "გაუმარჯოს ეროვნებას"!.

გული საშინლად მიკვდმდ, ტანი მითრთოდა, როგორც ცეცხლში, ჩვენი ბატალიონი მიდიოდა ბნელ ქუჩებში. შუაღამე იყო, ჰაერი დამშვიდებული, ცაზედ ვარსკვლავები კაშკაშობდა. ჩუმად მივდიოდით და ხელით ვისინჯავდით, ტყვია-წამალი თანა გვქონდა თუ არა.

გავედით ვიწრო ქუჩებიდან წყლის ნაპირას. ხიდებზე და წყლის ორსავ ნაპირს გაღმა-გამოღმა სანათები ენთო. ჩვენს წინ რაღაც არეულობა იყო. ჯინდარმები არავის უშვებდნენ, ხიდებზე და ჰაერს აპობდნენ ღრიალით: „გაუმარჯოს შეფეს!" მაგრამ იმათ ხმას ჰფარავდა ხმა-მაღალი ძახილი: „გაუმარჯოს ეროვნებას!" გაღმა, შორს მოსჩანდა მეფის სასახლე.

ეს რა მოხდა? ჩვენი ბატალიონი წმ. მიხეილის ხიდს მიადგა. ბუკის ხმა შეჩერდა, ჩვენ ერთად შევჯგუფდით. მუსონი წინ წადგა და დაუწყო ლაპარაკი ანტი-პატრიოტების ბატალიონის უფროსს, ესენი ხიდსა სდარაჯობდნენ, რამდენიმე წუთის შემდეგ ჩაჭნთან მოვიდა და გამოგვიცხადა, რომ საეროვნო გვარდიამ ბრძანებაბა მიიღო, არ გიეშვა ჩვენი ბატალიონი ხიდზე. ჩვენ ვუთხარით, რომ თოფის სროლით გავიკაფავთ გზასაო.

— სუთ, სუთ! —გვითხრა უფროსმა:—საქმე არ გაიფუჭოთ. შეუძლებელია სროლა, სანამ ზარბაზანს არ გაისვრიან.

— სად არის ზარბაზანი?—ჰკითხა მორგანმა.

— ახალ ხიდზე, ის ხიდი, საუბედუროდ, ანტიპატრიოტების ხელშია.

— თუ აგრეა, წინ წავალთ,—სთქვა მორგანმა,—ახალ ხიდს დავიპერთ და ზარბაზანსაც გავისეფრით.

— სუ, სუ!— გიიმეორა მუსონმა:—დამიჯერეთ ხიდსაც გავიღლით, როგორც ზარბაზანს გაისვრიან, და დანიშნულ ალაგსაც ყველაზე აღრე მივალთ.

მაინც მორგანი, პელლუ და მე წინ წავედით და პირის პირ ვიდექით გვარდიელებთან.

აქ მოხუცი პასკალი შედგა, ხელი დაჰრა მატერონს და გვითხრა:

— ახლა დროა წასვლისა, თორემ ჩემმა ძმამ ლანტემ მითხრა, ამაღამ ვერ მოვალ შენ წამოსაყვანად, აღრე დავკეტამ კარებს და შინ აღარ შეგიშვებო.

მეც მძინარე კატა სკამზე დავაწვინე და პაპაჩემთან ერთად გამოვედი სახელოსნოდან.

ედუარ ენტონოფსკასა.

(შემდეგი იქნება.)

სინათლე

(არაბული ზღაპარი)

ერთ ხანათ ქვეყანა სიბნელით იყო მოცული. ბნელის მოყვარულნი დათარეშობდნენ და სულ ტაკუს აძრობდნენ სინათლის მონატრულთ, სინათლეებმა არ იცოდნენ, რა ექმნათ, სულ ლოცულობდნენ და ღმერთსა სთხოვდნენ, რომ შეშველნა მათთვის და ამ ტანჯვა ვაებისაგან დაეხსნა, მა,რამ ღმერთი მათ არა შველოდათ სინათლეებს კიდევ მათთვე თანამომქმენი ღალატობდნენ, რომელთაც ბნელეთლები დაიქირავებდნენ ხოლმე თავიანთ ბატონობის გასაძლიერებლად, თანაც გულის მოსაგებად წართმეულ სიმდიდრიან ჯამაგრის უნი?ნავდნენ.

ერთხელ, ბნელეთლების სამწუხაროდ, ცაზედ სინათლის ზოლი გამოჩნდა. ისინი სულ დაიბნენ. იცოდნენ, რომ ეს სინათლე მზის წინამძორბედი იყო. დაიწყეს მზადება მზესთან საბრძოლველად. მოუმატეს სინათლეების ყელფას, რომ უფრო დაეფუსტებინნთ ისინი და მზესთან ბრძოლის დროს წინააღმდეგობა არ გაეწიათ. მათდასაუბედურად, სინათლე თან და თან ძლიერდებოდა. გამოიტანეს გარეგან თოფ ზარბაზნები და ტუჩები იქით მიუშვირეს, საიდანაც სინათლე მოდიოდა. დაიქირავეს ჩუმად სინათლეებისაგან რამდენიმე კაცი, რომლებიც დადიოდნენ ხალხში და, თუ გაიგონებდნენ, რომ ამა და ამ კაცს სინათლის მოსვლა უხარიანო, სტაკებდნენ ხელს, წაიყვანდნენ ბნელეთლებთან და ან სიკვდილით დასჯიდნენ, ან უფრო ბნელ ქვეყნებში გაგზავნიდნენ. მაგრამ ამითაც არა ჭარობდა სინათლე, იგი უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

გავიდა კარგა ხანი და მზეც ამოვიდა. როდესაც ბნელეთლებმა ეს დაინახეს, დატეხეს თოფ-ზარბაზნები, დაუძახეს დაქირავებულ ჯარს და უბრძანეს:

— ხალხო, იცოდეთ, მზესთან უნდა გაბრძოლოთ და ყოჩაღად იყავითო. ტყვია-წამალს ნუ დაიშურებთ. ვინც ხელი შეგიშალოთ, ესროლეთ, ნუ დაინდობთ. გესმით?

— გვესმის, თქვენო ალმატებულებავ!—მიუგეს მათ.

— ისიც იცოდეთ, თუ ყოჩაღად მოიქცეთო, სულ მენდილებითა და ორდენებით აგიღესთ მკერდს, მაგრა, თუ გულში გაიფიქრეთ ამ წმიდა საქმის ღალატი, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი არ აგცდებთ. არ დაივიწყოთ, რომ ვისაც მზე და სინათლე უყვარს, ის მოღალატეა ღვთისაც და ღვთისაგან დაწესებულ ბატონისაც. ამა დაიწყეთ..

— კარგი თქვენო ალმატებულებავ!

— ამა, დაუმიზნეთ თოფ-ზარბაზნანი მზეს!—დაიძახა დაქირავებულ ჯარის უფროსმა.

დაუმიზნეს.

— ერთი, ორი, სამი, ესროლეთ!

„ბუჭ! ტრარრაააბ!"—დაიგრიალა თოფ-ზარბაზანმა.

— ნუ შესდგებით, ესროლეთ! ჩქარა, საუკუნოდ ბოლო მოელება მზეს და სინათლეც დაიკარგება!..

„ტრარრაააბ! ბუჭ, ბუჭ!"

მზე კი ისევ მედიდურად მისცურავდა ცაზედ.

კარგა ხანი ეომებოდენ მზეს, მაგრამ იგი უფრო და უფრო მედიდურად მიდიოდა. გაცხარებულ ბრძოლის დროს შორს ცაზედ ღრუბელი გამოჩნდა, თანდათან მოახლოვდა და მზე რამდენისამე წუთით დაჰფარა. ბნელეთის ხალხის სიხარულის ყიჟინამ მოიცვა მთლად არე-მარე. იმათ ეგონათ, ეს არის ჩვენის თოფ-ზარბაზნით მზე ჩავაქრეთო.

— ესროლეთ, ესროლეთ!—ყვიროდნენ ისინი. აგერა, ჰქრება კიდევაც!

ჯარიც განუწყვეტლივ ესროდა.

მაგრამ ამაოა მათი იმედები. ჩქარა ნიავი დაუბერავს, ღრუბელი გაიფანტება, მზე უფრო ძლიერ გამოჩნდება და ბნელეთის მოტრფიალეთა ბატონობასაც ბოლო მოელება...

ზ. ვანჩეკელი.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ხ. [illegible]

ელექტროხნის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—ბა. ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 7.